

კვალიფიკაციასა და მტკიცებულებების შეგროვებასთან
დაკავშირებული სირთულეები ოჯახურ დანაშაულებზე



ვახტანგ შუკაკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალს. ნაშრომში არაა თავმოყრილი სხვა ავტორების წარმოდგენილი მასალები, რომელიც არ არის ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ვახტანგ შუკაკიძე

2022

აბსტრაქტი

საქართველოს კანონმდებლობა ბოლო წლების განმავლობაში ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, თუმცა პროგრესთან ერთად მაინც რჩება ისეთი სახის პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანია ძალადობის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების განსახორციელებლად. მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოწვევებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, ძალადობის ლატენტური ხასიათი, როდესაც მსხვერპლთა უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზით თავს იკავებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვისაგან და მეორე მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირების მიუხედავად, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე დაზარალებული იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას და უარს ამბობს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. საილუსტრაციოდ ნაშრომში ნაჩვენები იქნება ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება და აღნიშნული დანაშაულის განხილვა სასამართლოებში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საძიებო სიტყვები: ოჯახში ძალადობა; დანაშაულთა კვალიფიკაცია; საქართველოს კანონმდებლობა; მოწმის იმუნიტეტი; მტკიცებულებათა შეგროვება; საერთაშორისო პრაქტიკა.

Abstract

Georgian Legislative Assembly has been making significant progress in addressing violence against women and domestic violence in recent years, but with progress, there still remains problems that are important to prevent and effectively respond to violence. Of the challenges in the field of justice, the latent nature of violence on the one hand is especially important, when the majority of victims refrain from applying to relevant state bodies for various reasons, and on the other hand, despite informing law enforcement agencies, the victim at different stages of proceedings uses the right granted by law to him/her by law and refuses to testify against a close relative. The paper will illustrate the consideration of domestic crime cases in the courts at both the national and international levels.

Key words: Domestic violence, Crime classification, Georgian legislation, Witness immunity, Evidence gathering, Practice of the International Courts